20.03.2018

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის თებერვალი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 0,04 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასები 0,2 პროცენტით შემცირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. ფასები 0,3 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის ჯგუფზე, ხოლო 0,8 პროცენტით - სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 6,1 პროცენტით. ფასების 4,8 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე. ფასები გაიზარდა 11,6 პროცენტით ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე, ხოლო 3,6 პროცენტით - სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფის პროდუქციაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის თებერვალში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**106.1**	**6.11**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**103.6**	**0.12**
D	**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**104.8**	**3.81**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	106.3	2.55
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	115.1	0.55
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	105.3	0.43
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**111.6**	**2.18**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge